



**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №29**

ქ. ზუგდიდი

27 დეკემბერი 2016წ

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ივლისის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ საქართველოს კანონის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 ივლისის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/07/2016, სარეგისტრაციო კოდი:010250050.35.105.016263) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

- ა) მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. გამგეობის სამსახურებია:
 - ა) ადმინისტრაციული სამსახური:
 - ა.ა) საქმისწარმოების განყოფილება;
 - ა.ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;
 - ა.გ) იურიდიული განყოფილება;
 - ა.დ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
 - ა.ე) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;
 - ა.ვ) ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის კოორდინაციის განყოფილება.
 - ბ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური:
 - ბ.ა) საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება;
 - ბ.ბ) სახაზინო მომსახურების და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება;
 - ბ.გ) შემოსულობების და ქონების აღრიცხვის განყოფილება.
 - გ) ეკონომიკური პროგრამების და ინფრასტრუქტურის სამსახური:
 - გ.ა) დარგობრივი ეკონომიკის და სტატისტიკის განყოფილება;
 - გ.ბ) ინფრასტრუქტურული პროგრამების მართვის განყოფილება;
 - გ.გ) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო განყოფილება.
 - დ) მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური:
 - დ.ა) მუნიციპალური სერვისების და ბუნებრივი რესურსების განყოფილება;

- დ.ბ) ქონების მართვის განყოფილება;
- დ.გ) ტრანსპორტის განყოფილება.
- ე) განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახური:
 - ე.ა) განათლების განყოფილება;
 - ე.ბ) კულტურისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება;
 - ე.გ) ახალგაზრდულ საქმეთა და გენდერული თანასწორობის განყოფილება;
 - ე.დ) სპორტის განყოფილება.
- ვ) სოციალურ საქმეთა და ჯანდაცვის სამსახური:
 - ვ.ა) ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება;
 - ვ.ბ) სოციალური დაცვის განყოფილება
- ზ) ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახური:
 - ზ.ა) რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება;
 - ზ.ბ) საორგანიზაციო განყოფილება;
 - ზ.გ) სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება;
 - ზ.დ) არქიტექტურის განყოფილება.
- თ) შიდა აუდიტის სამსახური:
 - თ.ა) შიდა აუდიტის განყოფილება;
 - თ.ბ) ინსპექტირების განყოფილება.
- ი) შესყიდვების სამსახური:
 - ი.ა) საქონლისა და მომსახურების შესყიდვის განყოფილება;
 - ი.ბ) სამშენებლო პროექტებისა და სამუშაოების შესყიდვის განყოფილება.
- კ) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური:
 - კ.ა) წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილება;
 - კ.ბ) რეზერვის რიგითის, სერჟანტისა და ოფიცრის აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის განყოფილება.“;

ბ) 43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 43. გამგეობის რეორგანიზაცია

1. გამგეობის რეორგანიზაცია არის სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებების ერთობლიობა, რომელიც ერთდროულად შეეხება ორ ან მეტ სამსახურს ან ადმინისტრაციულ ერთეულს.
2. გამგეობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით. რეორგანიზაცია ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების შესაბამისად, რომლითაც განისაზღვრება:
 - ა) რეორგანიზაციის განხორციელების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს;
 - ბ) რეორგანიზაციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს გასატარებელ ღონისძიებათა ჩამონათვალს და მათი განხორციელების ვადებს;
 - გ) რეორგანიზაციის პროცესში გამგეობის საქმიანობის რეჟიმი.
3. რეორგანიზაციის გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ღონისძიებები განხორციელება ვადების მითითებით:
 - ა) გამგეობის მოხელეთა გაფრთხილება რეორგანიზაციისა და მასთან დაკავშირებული შტატების შემცირების, აგრეთვე ატესტაციის (კონკურსის) ჩატარების შესახებ;
 - ბ) რეორგანიზებული სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტების მომზადება და მიღება;
 - გ) გამგეობის საშტატო ნუსხაში და თანამდებობრივ სარგოებში ცვლილებების, სამუშაოთა აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროექტების მომზადება;
 - დ) რეორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.“.

გ) გამგეობის საშტატო ნუსხაში და თანამდებობრივ სარგოებში ცვლილებების, სამუშაოთა აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების პროექტების მომზადება;

დ) რეორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ბათილად იქნეს ცნობილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 დეკემბრის N27 დადგენილება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 16.12.2016წ.; 010250050.35.105.016272).

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 27 დეკემბრიდან.

მაიზერ ნანავა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

